



# გ ა ლ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

საქართველოს სახელით

23 სექტემბერი, 2010 წელი

ქალაქი ბათუმი

**ბათუმის საქალაქო სასამართლო  
ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია**

**მოსამართლე გოჩა ფუტყარაძე  
სხდომის მდივანი ქეთევან ზოიძე**

მოსარჩელე ~

- წარმომადგენელი -

მოპასუხე ~ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგეობა,

- წარმომადგენელი - არ გამოცხადდა,

~ თემურ თურმანიძე - არ გამოცხადდა,

~ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ხელვაჩაურის

სარეგისტრაციო სამსახური,

- წარმომადგენელი - მანუჩარ მეგრელიშვილი,

დავის საგანი ~ ქმედების დავალდებულება


## აღწერილობითი ნაწილი

სასარჩელო განცხადებით მოითხოვს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ხელვაჩაურის სარეგისტრაციო სამსახური დავალდებულდეს გასცეს საჯარო ინფორმაცია.

მოსარჩელის წარმომადგენელი სარჩელს იმით ასაბუთებს, რომ 2007 წლის 27 დეკემბერს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

საკუთრების აღიარების კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე საკუთრებაში გადაეცა 2450 კვ.მ. მიწის ნაკვეთი მდებარე ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის

უფლების დამდგენი საბუთი წარადგინა საჯარო რეესტრში და სარეგისტრირდა მესაკუთრედ. 2008 წლის 24 ივნისს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საკუთრების აღიარების კომისიამ



სახელზე გაცემული საკუთრების მოწმობა გააუქმა, იმ საფუძველით, რომ საკუთრება ფარავს საკუთრებას 1000 კვ.მ. მიწის ნაკვეთის დასახელებული გადაწყვეტილება მიერ გასაჩივრებული იქნა სასამართლოში, სადაც სარჩელი არ დაკმაყოფილდა. ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება გაასაჩივრეს სააპელაციო წესით. აპელაციის სააპელაციო სასამართლომ დააკმაყოფილა მისი სააპელაციო საჩივარი და გააუქმა ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება და მიიღო ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც ბათილად იქნა ცნობილი საკუთრების უფლების აღიარების კომისიის 2008 წლის 24 ივნისის გადაწყვეტილება, იმ მოტივით, რომ

საკუთრებებს შორის არ არსებობს გადაფარვა. განმარტავს, რომ 2010 წლის 15 თებერვალს განცხადებით მიმართა ხელვაჩაურის სარეგისტრაციო სამსახურს და მოსთხოვა ეცნობებინა გადაფარვა ხდებოდა თუ არა საკადასტრო მონაცემებით, ასევე მიწის ნაკვეთთან, როგორც ძველი ისე ახალი ახალი აზომვითი ნახაზების მიხედვით წარმოადგენდა თუ არა ერთიდაიგივე მიწის ნაკვეთებს. ხელვაჩაურის სარეგისტრაციო სამსახურმა აცნობა, რომ დღეის მდგომარეობით ხდებოდა ზედდება, მაგრამ ინფორმაცია ძველი და ახალი აზომვითი ნახაზი გაცემული მიწის ნაკვეთზე არის თუ არა ერთიდაიგივე მიწის ნაკვეთი და მათ შესაბამისად ზედდება ხდება თუ არა, ხელვაჩაურის სარეგისტრაციო სამსახურს პასუხი არ გაუცია.

მიიჩნევს რომ მის მიერ მოთხოვნილი ინფორმაცია საჯარო ინფორმაციაა და მოითხოვს მოპასუხის დავალებულს გასცეს ინფორმაცია ძველი და ახალი აზომვითი ნახაზები წარმოადგენს თუ არა ერთი და იგივე მიწის ნაკვეთებს და ამის შესაბამისად ზდება თუ არა ზედდება.

მოპასუხე სხდომაზე არ გამოცხადდა. საქართველოს სსკ-ის 70-78-ე მუხლებით დადგენილი წესის შესაბამისად.

საქართველოს ასკ-ის 26<sup>1</sup>-ე მუხლის მესამე ნაწილით „სასამართლო (მოსამართლე) უფლებამოსილია, მხარის არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის შემთხვევაში მის დაუსწრებლად გამოიტანოს გადაწყვეტილება საქმეში არსებული მასალების საფუძველზე და ამ კოდექსის მე-4 და მე-19 მუხლების დებულებათა გათვალისწინებით.“

სასამართლომ ჩათვალა, რომ მოპასუხე სხდომაზე მოწვეულია კანონის დაცვით, მაგრამ იგი სხდომაზე არ გამოცხადდა არაპატიო მიზეზით. რის გამოც სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ასკ-ის 26<sup>1</sup>-ე მუხლის მესამე ნაწილის პირობით და საქმე განიხილა მოპასუხის მონაწილეობის გარეშე.

სასამართლომ მოისმინა რა მხარეთა განმარტებები და გამოიკვლია საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებები და დადგენილად და დადასტურებულად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

2007 წლის 27 დეკემბერს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საკუთრების აღიარების კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე საკუთრებაში გადაეცა 2450 კვ.მ. მიწის ნაკვეთი მდებარე ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის

იხ.ს.ფ.



სარეგისტრირდა ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მიწის ნაკვეთის შესაკუთრედ. უფლების დამდგენი საბუთი წარადგინა საჯარო რეესტრში და მდებარე 2450 კვ.მ.

იხ.ს.ფ.

2008 წლის 24 ივნისს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საკუთრების აღიარების კომისიამ სახელზე გაცემული საკუთრების მოწმობა გააუქმა, იმ საფუძველით, რომ საკუთრება ფარავს საკუთრებას იმ 1000 კვ.მ. მიწის ნაკვეთის ნაწილში, რომელიც დარეგისტრირებული ქონდა 2005 წლის 27 მაისს.

იხ.ს.ფ.

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საკუთრების აღიარების კომისიის 2008 წლის 24 ივნისს გადაწყვეტილება მიერ გასაჩივრებული იქნა ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში, სადაც სარჩელი 2008 წლის 10 დეკემბრის გადაწყვეტილებით არ დაკმაყოფილდა.

იხ.ს.ფ.

ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 10 დეკემბრის გადაწყვეტილება გაასაჩივრა სააპელაციო წესით. ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ 2009 წლის 3 ივლისის გადაწყვეტილებით დააკმაყოფილა მისი საპელაციო საჩივარი და გააუქმა ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 10 დეკემბრის გადაწყვეტილება და მიიღო ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც ბათილად იქნა ცნობილი საკუთრების უფლების აღიარების კომისიის 2008 წლის 24 ივნისის გადაწყვეტილება, იმ მოტივით, რომ საკუთრებებს შიორის არ არსებობს გადაფარვა.

იხ.ს.ფ.

2010 წლის 15 თებერვალს ხელვაჩაურის სარეგისტრაციო სამსახურს და მოსთხოვა ეცნობებინა გადაფარვა ხდებოდა თუ არა მიწის ნაკვეთთან, როგორც ძველი ისე ახალი საკადასტრო მონაცემებით, ასევე მიწის ნაკვეთი ძველი და ახალი აზომვითი ნახაზების მიხედვით წარმოადგენდა თუ არა ერთიდაიგივე მიწის ნაკვეთებს.

იხ.ს.ფ.

ხელვაჩაურის სარეგისტრაციო სამსახურმა აცნობა, რომ დღეის მდგომარეობით ხდებოდა ზედდება, მაგრამ ინფორმაცია ზედდება ხდება თუ არა ძველი აზომვითი ნახაზით და ახალი აზომვითი ნახაზი გაცემული მიწის ნაკვეთზე არის თუ არა ერთიდაიგივე მიწის ნაკვეთი, ხელვაჩაურის სარეგისტრაციო სამსახურს პასუხი არ უცნობებია.

იხ.ს.ფ.

მიიჩნევს რომ მის მიერ მოთხოვნილი ინფორმაცია საჯარო ინფორმაციაა და მოითხოვს მოპასუხის დავალებულებას გასცეს ინფორმაცია ძველი და ახალი აზომვითი ნახაზები წარმოადგენს თუ არა ერთი და იგივე მიწის ნაკვეთებს და ამის შესაბამისად ხდება თუ არა ზედდება.



### სამოტივაციო ნაწილი

სასამართლომ სამართლებრივი შეფასება მისცა რა დადგენილად მიჩნეულ კარემოებებს მივიდა იმ დასკვნამდე, რომ სარჩელი საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს.

საჯარო ინფორმაციის გაცემის დავალდებულების თაობაზე აღძრული სარჩელი გამომდინარეობს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 37-ე მუხლის I ნაწილის საფუძვლიდან. კერძოდ:

ყველას აქვს უფლება მოითხოვოს საჯარო ინფორმაცია მისი ფიზიკური ფორმისა და შენახვის მდგომარეობის მიუხედავად და აირჩიოს საჯარო ინფორმაციის მიღების ფორმა, თუ იგი სხვადასხვა სახით არსებობს, აგრეთვე გაეცნოს ინფორმაციას დედანში. თუ არსებობს დედნის დაზიანების საფრთხე, საჯარო დაწესებულება ვალდებულია უზრუნველყოს ზედამხედველობის ქვეშ მისი გაცნობის შესაძლებლობა ან წარუდგინოს სათანადო წესით დამოწმებული ასლი.

მოსარჩელე მოპასუხისაგან მოითხოვეს გადაეცას ინფორმაცია, რომელიც ინახება საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ხელვაჩაურის სარეგისტრაციო სამსახურში. მოსარჩელე თვლის, რომ ინფორმაცია სახელზე გაცემული ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მდებარე მიწის ნაკვეთის ძველ აზომვითი ნახაზში და ახალ აზომვითი ნახაზში მითითებული მიწის ნაკვეთი არის თუ არა ერთიდაიგივე მიწის ნაკვეთი და ძველი აზომვითი და ახალი აზომვითი ნახაზითს მიხედვით შედლება ხდება თუ არა საკუთრებასთან, საჯაროა და მოსარჩელეს უფლება ქონდა მიელო იგი.

დადგენილია და დავას არ იწვევს ის გარემოება, რომ მოპასუხემ მოსარჩელეს გადასცა ინფორმაცია, რომ მიწის ნაკვეთებს შორის ხდება შედლება, მაგრამ არ აცნობა შედლება ხდება თუ არა ძველი აზომვითი ნახაზით, ასევე ძველი აზომვითი ნახაზი და ახალი აზომვითი ნახაზი გაცემული მიწის ნაკვეთზე არის თუ არა ერთიდაიგივე მიწის ნაკვეთი.

სასამართლო თვლის, რომ ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმა დასაშვებია თუ ის წარმოადგენს პირად, კომერციულ, სახელმწიფო ან პროფესიულ საიდუმლოებას მიკუთვნებულ ინფორმაციას, აღნიშნული გამომდინარეობს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 28-ე მუხლის საფუძვლიდან, რომლის მიხედვითაც საჯარო ინფორმაცია ღიაა, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა და დადგენილი წესით სახელმწიფო, კომერციულ და პირად საიდუმლოებას მიკუთვნებული ინფორმაციისა.

საჯარო ინფორმაციის გასაიდუმლოება დასაშვებია საქართველოს ზაკ-ის 30-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაშიც. კერძოდ: გადაწყვეტილება საჯარო ინფორმაციის გასაიდუმლოების შესახებ შეიძლება მიღებულ იქნეს იმ შემთხვევაში, თუ კანონი აწესებს მისი გამხელისაგან დაცვის პირდაპირ მოითხოვნას, ადგენს ინფორმაციის გამხელისაგან დაცვის კონკრეტულ კრიტერიუმებს და შეიცავს საიდუმლოდ დასაცავი ინფორმაციის ამომწურავ ჩამონათვალს.

მტკიცებულებათა ანალიზით დადგინდა, რომ მოსარჩელეთა მიერ გამოთხოვილი ინფორმაცია არ წარმოადგენს სახელმწიფო, კომერციულ ან პირად საიდუმლოებას მიკუთვნებული ინფორმაციას, ასევე არ არის წარმოადგენილი მტკიცებულებები, რომ



ასეთი საჯარო ინფორმაციის გაცემა გასაიდუმლოებული იქნა რომელიმე ორგანოს მიერ.

სასამართლო თვლის, რომ მოპასუხე ვალდებულია მოსარჩელებს მისცეს საშუალება გაეცნონ საჯარო ინფორმაციას, ხელი არ შეუშალოს და შეუქმნას შესაბამისი პირობები ინფორმაციის გაცნობისათვის. მოსარჩელეს უფლება აქვს შერჩიოს მტკიცებულებათა მიღების ფორმა, რაც იმას ნიშნავს, რომ მას შეუძლია საჯარო ინფორმაცია მიიღოს ასლების სახით, გაეცნოს დედანში, მიიღოს ელექტრონული ფორმით და სხვა ტექნიკური საშუალების გამოყენებით. ინფორმაციის მიღების ფორმის შერჩევა მოპასუხის უფლება არ არის. ასეთ უფლებას კანონი ნიჭებს მოსარჩელეს და შესაბამისად მას აქვს უფლება ისარგებლოს ამ უფლებით და თვითონ განსაზღვროს მიღების ფორმა.

სასამართლო თვლის, რომ მოპასუხე ვალდებულია ინფორმაცია გასცეს იმ ფორმით, რა ფორმითაც ინახება მასთან. თუ შენახვის ფორმა და მეთოდი არ შეესაბამება კანონს დასახელებული საკითხი არ არის საჯარო ინფორმაციის გამოთხოვებასთან დაკავშირებული პრობლემა და ამ კატეგორიის საკითხებთან ერთად არ წყდება.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე სასამართლო თვლის, რომ მოპასუხე უნდა დავალდებულდეს მოსარჩელეს გასცეს ინფორმაცია ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სახელზე გაცემული მიწის ნაკვეთის ძველ აზომვით ნახაზში და ახალ აზომვით ნახაზში მითითებული მიწის ნაკვეთი არის თუ არა ერთიდაიგივე მიწის ნაკვეთი და ძველი აზომვითი და ახალი აზომვითი ნახაზის მიხედვით ზედდება ხდება თუ არა საკუთრებასთან,

სახელმწიფო ბაჟის გადახდა საქართველოს სსკ-ის 53-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად უნდა განაწილდეს მხარეებზე.

**სარეგისტრაციო ნაწილი:**

სასამართლომ იხელმძღვანელა რა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი, 22-ე, 32-ე მუხლებითა და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-8, 38-39-ე, 243-244-ე, 247-249-ე, 257-258-ე მუხლებით,

**გადაწყვეიბა:**

1. სარჩელი დაკმაყოფილდეს, კერძოდ:

– საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ხელვაჩაურის სარეგისტრაციო სამსახური დავლდებულდეს მოსარჩელეზე გასცეს შემდეგი სახის საჯარო ინფორმაცია:

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გაცემული მიწის ნაკვეთის ძველ აზომვით ნახაზში და ახალ აზომვით ნახაზში მითითებული მიწის ნაკვეთი არის თუ არა ერთიდაიგივე მიწის ნაკვეთი და ძველი აზომვითი და ახალი აზომვითი ნახაზის მიხედვით ზედდება ხდება თუ არა საკუთრებასთან.



2. მოპასუხეს, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ხელვაჩაურის რეგისტრაციო სამსახურს დაეკისროს მოსარჩელის მიერ წინასწარ გადახდილი ელემენტარული ბაჟის ნაწილის 50 (ორმოცდაათი) ლარის მოსარჩელისათვის დაბრუნება.

3. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო წესით 14 დღის ვადაში საბუთებზე გადაწყვეტილების ასლის ჩაბარების დღიდან ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატაში, (მისამართი: ქ. ქუთაისი, უბორტის ქ. №32), ბათუმის საქალაქო სასამართლოს მეშვეობით (ქ. ბათუმი, ბაბუაშვილის ქ. №30).

**მოსამართლე:**

**გოჩა ფუტყარაძე** .....

